საქართველოს პარლამენტი

2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის იანვარ-მარტის შესრულების შესახებ ოპერატიული ინფორმაციის

მიმოხილვა

საქართველოს პარლამენტის
საბიუჯეტო ოფისი

2025
აპრილი

ძირითადი მაჩვენებლები (მლნ ლარი)

შემოსულობები - 6,650.6 მლნ ლარი	100.5 3 თვის გეგმის	24.1% წლიური გეგმის
გადასახდელები - 6,393.4 მლნ ლარი	94.3% 3 თვის გეგმის	22.9% წლიური გეგმის

ნაშთის ცვლილება 257.2 მლნ ლარი	საოპერაციო სალდო 445.9 მლნ ლარი	მთლიანი სალდო -155.8 მლნ ლარი

შემოსულობების და გადასახდელების კომპონენტები





გადასახადების სტრუქტურა



ხარჯების სტრუქტურა



სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

2025 წლის იანვარ-მარტში სახელმწიფო ბიუჯეტის **შემოსულობები** 6,650.6 მლნ ლარს, წლიური გეგმის (27,560.8 მლნ ლარი) 24.1%-ს და 3 თვის გეგმის[1] (6,619.0 მლნ ლარი) 100.5%-ს შეადგენს, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს კი 334.4 მლნ ლარით (5.3%-ით) აღემატება (ძირითადად, ვალდებულებების ზრდის კომპონენტის, აგრეთვე შემოსავლების მატების გავლენით).

2025 წლის 3 თვეში **გადასახდელები** 6,393.4 მლნ ლარს, წლიური გეგმის (27,941.7 მლნ ლარი) 22.9%-ს და 3 თვის გეგმის (6,780.8 მლნ ლარი) 94.3%-ს აღწევს, ხოლო წინა წლის 3 თვის მაჩვენებელს 639.9 მლნ ლარით (11.1%-ით) აჭარბებს (ხარჯების მნიშვნელოვანი მატების გავლენით).





შემოსულობების კომპონენტებს რაც შეეხება, 3 თვის გეგმის მიმართ, ყველა კომპონენტი, გარდა ვალდებულებების ზრდისა, გადაჭარბებით გამოირჩევა. კერძოდ: შემოსავლები გეგმის 102.1%-ს შეადგენს, არაფინანსური და ფინანსური აქტივების კლების მუხლებით შემოსულობები - შესაბამისად, 100.9%-ს და 174.0%-ს, ხოლო ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობები, შესრულების დაბალი (83.1%-იანი) მაჩვენებლით ხასიათდება.

გადასახდელების კომპონენტებთან დაკავშირებით, 3 თვის გეგმის შესრულების მხრივ, ხარჯებისა და ვალდებულებების კლების მუხლით გადასახდელები კარგი მაჩვენებლებით ხასიათდება და შესაბამისად, 95.6%-ს და 98.8%-ს შეადგენს, არაფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტს დაბალი მაჩვენებელი (75.3%) აქვს, ხოლო ფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელები გადაჭარბებით გამოირჩევა და 252.8%-ს აღწევს.





[1] 3 თვის გეგმა წარმოდგენილია 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განწერის მიხედვით (ფინანსთა სამინისტროს 2024 წლის 30 დეკემბრის №434 ბრძანება).

სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი წლის დასაწყისისათვის 1,386.2 მლნ ლარს გაუტოლდა. 3 თვის შემოსულობებისა და გადასახდელების გათვალისწინებით, ნაშთის დაგროვებამ 257.2 მლნ ლარი შეადგინა და 2025 წლის 1 აპრილისთვის, სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი 1,643.5 მლნ ლარის ოდენობით განისაზღვრა.



გადასახადების სახით იანვარ-მარტში მობილიზებულია 5,428.5 მლნ ლარი, რაც 3 თვის გეგმის 102.3%-ს და წლიური გეგმის 24.8%-ს შეადგენს. სახეების მიხედვით, გადასახადების 3 თვის გეგმის შესრულების მაჩვენებლები 87.6% - 101.3%-ის ფარგლებში მერყეობს (მ.შ. აქციზი - ყველაზე დაბალი და საშემოსავლო გადასახადი ყველაზე მაღალი მაჩვენებლებით გამოირჩევა). რაც შეეხება სხვა გადასახადს, 3 თვეში დაიგეგმა 130.0 მლნ ლარი, ფაქტობრივად კი 339.5 მლნ ლარი შეადგინა. 2024 წელთან შედარებით, გადასახადები გაზრდილია 216.1 მლნ ლარით (4.1%-ით), ძირითადად, საშემოსავლო და მოგებისა გადასახადების და დღგ-ის, შესაბამისად, 16.7%-იანი, 32.2%-იანი და 7.6%-იანი მატების გავლენით.



2025 წლის იანვარ-მარტში, სახელმწიფო ბიუჯეტის **საოპერაციო სალდო** 445.9 მლნ ლარს გაუტოლდა, ხოლო **მთლიანმა სალდომ** -155.8 მლნ ლარი შეადგინა.



ხარჯებმა 3 თვეში 5,253.9 მლნ ლარი, 3 თვის გეგმის 95.6% და წლიური გეგმის 24.1% შეადგინა. სახეების მიხედვით ხარჯების 3 თვის გეგმის შესრულების მაჩვენებლებში, პროცენტის, სოციალური უზრუნველყოფისა და სხვა ხარჯების მუხლები გადაჭარბებით გამოირჩევა და შესაბამისად, 100.7%-ს, 101.0%-ს და 102.0%-ს უტოლდება. ხარჯების დანარჩენი მუხლები დაბალი მაჩვენებლებით ხასიათდება: შრომის ანაზღაურება 3 თვის გეგმის 90.5%-ია, საქონელი და მომსახურება - 80.2%, გრანტები - 90.6%, სუბსიდიები - 85.3%. წინა წელთან შედარებით, ხარჯები 741.8 მლნ ლარით (16.4%-ით) გაზრდილია, ძირითადად, სოციალური უზრუნველყოფის, სხვა ხარჯებისა და პროცენტის მუხლებით გაწეული ხარჯების მატების გავლენით.



დანართი 1: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება (მლნ ლარი)

დასახელება	2024 წლის 3 თვის ფაქტი	2025 წლის წლიური გეგმა	2025 წლის 3 თვის გეგმა*	2025 წლის 3 თვის ფაქტი	3 თვის გეგმის შესრულების %	წლიური გეგმის შესრულების %	%-ული ცვლილება წინა წლის 3 თვის ფაქტთან
შემოსულობები	**6,316.2**	**27,560.8**	**6,619.0**	**6,650.6**	**100.5%**	**24.1%**	**5.3%**
შემოსავლები	**5,593.5**	**23,434.9**	**5,581.2**	**5,699.9**	**102.1%**	**24.3%**	**1.9%**
გადასახადები	5,212.3	21,885.0	5,308.0	5,428.5	102.3%	24.8%	4.1%
საშემოსავლო გადასახადი	1,605.4	7,369.0	1,849.0	1,873.5	101.3%	25.4%	16.7%
მოგების გადასახადი	620.8	3,070.0	850.0	820.9	96.6%	26.7%	32.2%
დღგ	1,739.8	8,136.0	1,884.0	1,872.8	99.4%	23.0%	7.6%
აქციზი	515.3	2,650.0	560.0	490.5	87.6%	18.5%	-4.8%
იმპორტის გადასახადი	31.8	150.0	35.0	31.3	89.5%	20.9%	-1.5%
სხვა გადასახადები	699.3	510.0	130.0	339.5	261.2%	66.6%	-51.4%
გრანტები	116.9	199.9	49.2	58.9	119.7%	29.5%	-49.6%
სხვა შემოსავლები	264.3	1,350.0	224.0	212.5	94.9%	15.7%	-19.6%
არაფინანსური აქტივების კლება	**60.9**	**300.0**	**70.0**	**70.6**	**100.9%**	**23.5%**	**16.0%**
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	**152.6**	**400.0**	**83.0**	**144.4**	**174.0%**	**36.1%**	**-5.3%**
ვალდებულებების ზრდა	**509.3**	**3,425.9**	**884.8**	**735.7**	**83.1%**	**21.5%**	**44.5%**
საშინაო	248.6	1,600.0	639.2	612.9	95.9%	38.3%	146.5%
საგარეო	260.6	1,825.9	245.6	122.8	50.0%	6.7%	-52.9%
გადასახდელები	**5,753.5**	**27,941.7**	**6,780.8**	**6,393.4**	**94.3%**	**22.9%**	**11.1%**
ხარჯები	**4,512.2**	**21,842.0**	**5,497.2**	**5,253.9**	**95.6%**	**24.1%**	**16.4%**
შრომის ანაზღაურება	590.1	3,035.0	757.4	685.7	90.5%	22.6%	16.2%
საქონელი და მომსახურება	517.3	2,485.3	649.9	521.0	80.2%	21.0%	0.7%
პროცენტი	418.3	1,745.0	538.7	542.6	100.7%	31.1%	29.7%
სუბსიდიები	258.4	1,021.6	298.7	254.7	85.3%	24.9%	-1.4%
გრანტები	295.3	1,856.5	402.0	364.3	90.6%	19.6%	23.4%
სოციალური უზრუნველყოფა	1,846.5	8,446.3	2,133.0	2,153.4	101.0%	25.5%	16.6%
სხვა ხარჯები	586.3	3,252.3	717.5	732.2	102.0%	22.5%	24.9%
არაფინანსური აქტივების ზრდა	**861.0**	**4,258.9**	**892.7**	**672.4**	**75.3%**	**15.8%**	**-21.9%**
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	**61.8**	**424.1**	**52.5**	**132.8**	**252.8%**	**31.3%**	**115.1%**
ვალდებულებების კლება	**318.5**	**1,416.7**	**338.4**	**334.3**	**98.8%**	**23.6%**	**4.9%**
საშინაო	12.7	42.9	12.9	10.1	77.7%	23.4%	-20.8%
საგარეო	305.8	1,373.8	325.5	324.2	99.6%	23.6%	6.0%
ნაშთის ცვლილება (+ დაგროვება / - გამოყენება)	**562.7**	**-381.0**	**-161.8**	**257.2**			

* 3 თვის გეგმა წარმოდგენილია 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განწერის მიხედვით (ფინანსთა მინისტრის 2024 წლის 30 დეკემბრის ბრძანება № 434)

დანართი 2: სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსი (მლნ ლარი)

დასახელება	2024 წლის 3 თვის ფაქტი	2025 წლის წლიური გეგმა	2025 წლის 3 თვის გეგმა*	2025 წლის 3 თვის ფაქტი	3 თვის გეგმის შესრულების %	წლიური გეგმის შესრულების %	%-ული ცვლილება წინა წლის 3 თვის ფაქტთან
შემოსავლები	**5,593.5**	**23,434.9**	**5,581.2**	**5,699.9**	**102.1%**	**24.3%**	**1.9%**
გადასახადები	5,212.3	21,885.0	5,308.0	5,428.5	102.3%	24.8%	4.1%
გრანტები	116.9	199.9	49.2	58.9	119.7%	29.5%	-49.6%
სხვა შემოსავლები	264.3	1,350.0	224.0	212.5	94.9%	15.7%	-19.6%
ხარჯები	**4,512.2**	**21,842.0**	**5,497.2**	**5,253.9**	**95.6%**	**24.1%**	**16.4%**
შრომის ანაზღაურება	590.1	3,035.0	757.4	685.7	90.5%	22.6%	16.2%
საქონელი და მომსახურება	517.3	2,485.3	649.9	521.0	80.2%	21.0%	0.7%
პროცენტი	418.3	1,745.0	538.7	542.6	100.7%	31.1%	29.7%
სუბსიდიები	258.4	1,021.6	298.7	254.7	85.3%	24.9%	-1.4%
გრანტები	295.3	1,856.5	402.0	364.3	90.6%	19.6%	23.4%
სოციალური უზრუნველყოფა	1,846.5	8,446.3	2,133.0	2,153.4	101.0%	25.5%	16.6%
სხვა ხარჯები	586.3	3,252.3	717.5	732.2	102.0%	22.5%	24.9%
საოპერაციო სალდო	**1,081.3**	**1,592.9**	**84.1**	**445.9**	**530.5%**	**28.0%**	**-58.8%**
არაფინანსური აქტივების ცვლილება	**800.1**	**3,958.9**	**822.7**	**601.7**	**73.1%**	**15.2%**	**-24.8%**
ზრდა	861.0	4,258.9	892.7	672.4	75.3%	15.8%	-21.9%
კლება	60.9	300.0	70.0	70.6	100.9%	23.5%	16.0%
მთლიანი სალდო	**281.2**	**-2,366.0**	**-738.6**	**-155.8**	**21.1%**	**6.6%**	**-155.4%**
ფინანსური აქტივების ცვლილება	**471.9**	**-356.9**	**-192.2**	**245.6**	**-127.8%**	**-68.8%**	**-48.0%**
ზრდა	**624.5**	**424.1**	**52.5**	**390.1**	**742.4%**	**92.0%**	**-37.5%**
ვალუტა და დეპოზიტები	562.7	0.0	0.0	257.2			-54.3%
სესხები	61.8	421.7	50.1	45.7	91.2%	10.8%	-26.0%
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	2.5	2.5	87.1	3556.8%	3556.8%	
კლება	**152.6**	**781.0**	**244.8**	**144.4**	**59.0%**	**18.5%**	**-5.3%**
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	381.0	161.8	0.0	0.0%	0.0%	
სესხები	152.6	400.0	83.0	144.4	174.0%	36.1%	-5.3%
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.0	0.0	0.0			
ვალდებულებების ცვლილება	**190.7**	**2,009.1**	**546.4**	**401.4**	**73.5%**	**20.0%**	**110.5%**
ზრდა	**509.3**	**3,425.9**	**884.8**	**735.7**	**83.1%**	**21.5%**	**44.5%**
საშინაო	248.6	1,600.0	639.2	612.9	95.9%	38.3%	146.5%
საგარეო	260.6	1,825.9	245.6	122.8	50.0%	6.7%	-52.9%
კლება	**318.5**	**1,416.7**	**338.4**	**334.3**	**98.8%**	**23.6%**	**4.9%**
საშინაო	12.7	42.9	12.9	10.1	77.7%	23.4%	-20.8%
საგარეო	305.8	1,373.8	325.5	324.2	99.6%	23.6%	6.0%
ბალანსი	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**			

საქართველოს პარლამენტი